დანართი No. 1

NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY
ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამა

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 2023 წლის 27 ნოემბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 2023 წლის 15 დეკემბერი

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 9

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 9

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 19

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 25

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 28

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 36

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211349192
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	პროფესორი რიჩარდ ჰეინსი, სტერლინგის უნივერსიტეტი, შოტლანდია, დიდი ბრიტანეთი.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მაგდა მემანიშვილი, ასოცირებული პროფესორი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნატალია თვალჭრელიძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველო.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	სოფიო უგრეხელიძე, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა სსიპ, საქართველო.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ია ბუცხრიკიძე, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო.

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ქართულად)	ჟურნალისტიკა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ინგლისურად)	Journalism
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ჟურნალისტიკის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა 0321
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება[3]	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	პირობითი აკრედიტაცია MES 38067 18.01.2022
პროგრამაზე დაშვების დამატებითი მოთხოვნები (სამხატვრო- შემოქმედებითი და/ან სპორტული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, შემოქმედებითი ტურის/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაში დაშვების/პროგრამის განხორციელების სპეციფიკური მოთხოვნები.)	

[2]თუ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად და მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება განსხვავდება, იგი მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულების მიხედვით.

[3](მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**[4]

ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტზე 2012 წლიდან ფუნქციონირებს, თუმცა სწავლება ამ სფეროში 1992 წლიდან იღებს სათავეს. წინა პირობითი აკრედიტაცია პროგრამას 2022 წელს მიენიჭა (გადაწყვეტილება No. MES 38067). პროგრამას ახორციელებს 33 თანამშრომელი, რომელშიც შედის 13 პროფესორი, 12 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტ პროფესორი, 1 მოწვეული პროფესორი, 2 მოწვეული ასოცირებული პროფესორი და 3 უფროსი პედაგოგი. პროგრამის მიზანია მოამზადოს სტუდენტები და შესძინოს მათ ის ცოდნა და უნარები, რაც დასჭირდებათ ჟურნალისტად მუშაობისთვის ბეჭდურ, რადიო, ტელევიზიასა და მულტიმედია/ციფრულ ფორმატებზე. ეს მოიცავს სტუდენტების მომზადებას თანამედროვე ჟურნალისტიკის პრინციპებისა და ფასეულობების ცოდნით, საერთაშორისო და საქართველოს მიმდინარე მოვლენების შეფასების და კომენტირების უნარით, სხვადასხვა მედიაპლატფორმზე საკუთარი უნარების გამოყენებით. პროგრამის მიზანი შეესაბამება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას.

წინა პირობითი აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა 2022 წელს რამდენიმე კონკრეტული რეკომენდაცია გასცა, და ექსპერტთა ჯგუფისთვის აშკარა იყო, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში ცვლილებების განხორციელების კუთხით დიდი პროგრესი იქნა მიღწეული, რაც მნიშვნელოვანი ძალისხმევის დამსახურებაა. დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაცია და საბაკალავრო პროგრამის სახელწოდება „მასობრივი კომუნიკაციები“ შეცვალა „ჟურნალისტიკად"; ასევე გადაიდგა პედაგოგიური ნაბიჯი და პროგრამის ამოცანებსა და მიწოდებაში მეტი ყურადღება გამახვილდა ჟურნალისტიკის პროფესიულ საჭიროებებსა და თანამედროვე მედია ინდუსტრიებზე. ეს მოიცავდა 10 ახალი კურსის შემოღებას, რომელიც უფრო მეტად არის ორიენტირებული ჟურნალისტიკაში პრაქტიკაზე დაფუძნებულ უნარებზე; გაუქმდა 6 კურსი, განხორციელდა დიდი ცვლილებები კრედიტების რაოდენობისა და კონკრეტულ კურსებზე დაშვების წინაპირობების კუთხით; ასევე ცვლილებები შევიდა სილაბუსებში, რომ სტუდენტებისთვის კურიკულუმის შესაბამის ეტაპზე მიეწოდებინათ როგორც პრაქტიკაზე დაფუძნებული, ასევე კვლევით მეთოდების კურსები. წარმოდგენილ მტკიცებულებებზე და ადგილზე ვიზიტზე დაყრდნობით, ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა რომ წინა რეკომენდაციები წარმატებით შესრულდა და შესაბამისობაშია მოყვანილი.

უმაღლესი განათლების ამ პირველი საფეხურის პროგრამაში (დონე 6) სტუდენტები აგროვებენ 240 კრედიტს ECTS)- სისტემის მიხედვით, რომელიც მოიცავს სავალდებულო და არჩევით კურსებს (225 კრედიტი) და თავისუფალ კომპონენტებს (15 კრედიტი) სოციალური მეცნიერებების სხვა აკრედიტებული პროგრამებიდან. პროგრამამ ძლიერი კავშირები დაამყარა ადგილობრივ და ეროვნულ მედია ორგანიზაციებთან, მათი მედია პრაქტიკოსების რეგულარული ვიზიტებით, რომლებიც ჟურნალისტიკის მასტერკლასებს ატარებენ. სტუდენტებს ასევე აქვთ შესაძლებლობა გაიარონ სტაჟირება რამდენიმე ადგილობრივ ბიზნესთან, რომლებთანაც სტუ-მ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა (მემორანდუმი), მათ შორის შპს „ტელეიმედთან“ , შპს ტელეკომპანია „თბილისთან“, მედია-კავშირ ოქტივთან და შპს რადიო ჰოლდინგ ფორტუნასთან. პროგრამაში განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებით მედიის დამსაქმებლებს სთხოვეს რჩევები. საბაკალავრო პროგრამა ასევე შეიცვალა ესპანეთში (მადრიდის კარლოს III-ის უნივერსიტეტი) მსგავს პროგრამებზე კონსულტაციების შემდეგ;

[4]პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

ასევე ჩეხეთის (ინგლო-ამერიკული უნივერსიტეტი, პრაღა) და ლატვიის უნივერსიტეტების (რიგის უნივერსიტეტი) მსგავსი პროგრამების განხილვის საფუძველზე. ჟურნალისტიკის შესადარებელი პროგრამები შეირჩა იმისთვის, რომ მიეწოდებინათ სხვადასხვა სახის ინფორმაცია ჟურნალისტიკის სტანდარტებთან და საქართველოს, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს საჭიროებებთან დაკავშირებით.

ამიტომ, ჟურნალისტიკის პროგრამა მიზნად ისახავს უზრუნველყოს შესაბამისი განათლება და უნარ-ჩვევები, რომლებიც აუცილებელია მზარდ გლობალურ და სწრაფად ცვალებად მედია გარემოში. მკაფიოდ იყო განსაზღვრული პროგრამის ძირითადი მიზნები და დაკავშირებული იყო მის სწავლის შედეგებთან. პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტებისგან მოელიან, რომ ექნებათ ის კომპეტენციები, რომლებიც გააფართოვებს მათ თეორიულ ცოდნას ჟურნალისტიკისა და მედიის შესახებ, საშუალებას მისცემს მათ გააანალიზონ და ინტერპრეტაცია გაუკეთონ მიმდინარე მოვლენებს და ეფექტურად გადმოსცენ მოვლენები წერილობითი, ზეპირი და ვიზუალური კომუნიკაციის ხერხებით, სხვადასხვა მედია პლატფორმაზე. სტუდენტებს ასევე შეეძლებათ დამოუკიდებელი კვლევითი პროექტების შემუშავება და ინფორმაციის კრიტიკულად დამუშავება როგორც აკადემიური, ისე არაакადემიური წყაროებიდან. სტუდენტები ასევე გააცნობიერებენ და განავითარებენ ჟურნალისტიკის პროფესიულ სტანდარტებს, მათ შორის ეთიკურ და ობიექტურ პრაქტიკებს, რომლებიც შეესაბამება სოციალურად პასუხისმგებელიან ჟურნალისტიკას.

ექსპერტთა ჯგუფი თანხმდება , რომ მიზნები და სწავლის შედეგები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და ლოგიკურად დაკავშირებული ერთმანეთთან. მოწოდებული დოკუმენტების თანახმად და 2023 წლის 28 ნოემბერს ადგილზე ვიზიტის დროს შეგროვებული ინფორმაციის მიხედვით, პროგრამის მიზნები შეესაბამება სტუ-ს მისიას, ამოცანებსა და სტრატეგიულ გეგმას.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ჯგუფი ეწვია სტუ-ს 2023 წლის 27 ნოემბერს უნივერსიტეტის კამპუსში თბილისში, საქართველოში. ვიზიტამდე რამდენიმე კვირით ადრე ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო წვდომა დოკუმენტების ფართო სპექტრზე, მათ შორის თვითშეფასების ანგარიშზე, ჟურნალისტიკის პროგრამის სილაბუსზე და დაგეგმვის დოკუმენტებზე, ინდივიდუალური კურსის დოკუმენტაციაზე, კურსის სწავლებასთან დაკავშირებული პერსონალის სიებზე და მათ რეზიუმეებზე, სადაც დეტალურად არის აღწერილი პერსონალის ექსპერტიზა, ასევე პროგრამის სწავლის შედეგებზე, პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა შეფასებებსა და პროგრამის ბიუჯეტზე. მოგვაწოდეს უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის ბმულები, თუმცა იქ ინფორმაცია მხოლოდ ქართულ ენაზე იყო. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ, ადგილზე ვიზიტისთვის, უზრუნველყოფილი იყო თარჯიმანი, რათა შეხვედრაში მონაწილე ყველა პირს შეძლებოდა საკუთარ ენაზე საუბარი და ექსპერთა ჯგუფის თავმჯდომარესაც შეძლებოდა მათი გაგება.

ექსპერტთა ჯგუფმა მთელი დღე დაუთმო გასაუბრებებსა და ინფორმაციის შეგროვებას. შეხვედრები დაიწყო უნივერსიტეტის უფროს მმართველ გუნდთან გასაუბრებით, შევხვდით თვითშეფასების ანგარიშის გუნდს, დეპარტამენტის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, აკადემიურ პერსონალს, მოწვეულ პერსონალს ჟურნალისტიკის დარგში, მედიადამსაქმებლებს, ჟურნალისტიკის სხვადასხვა კურსის სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა უნივერსიტეტი, მათ შორის ახლახან განახლებული მულტიმედიური კომპიუტერული ლაბორატორიები, კარგი რესურსებით აღჭურვილი სატელევიზიო სტუდია, სადაც სტუდენტური ნამუშევრების დემონსტრირება იყო უზრუნველყოფილი და ბიბლიოთეკა, სადაც ჯგუფს შეეძლო შეემოწმებინა ბიბლიოთეკის სისტემის ძირითად წყაროებზე წვდომა. საერთო შთაბეჭდილებით, ეს არის კარგი რესურსებით აღჭურვილი პროგრამა, განსაკუთრებით აღსანიშნავია სატელევიზიო სტუდია, რომელიც აძლევს სტუდენტებს საშუალებას ისწავლონ პროფესიონალურ გარემოში, კვალიფიციური და მცოდნე პერსონალის დახმარებით.

ექსპერტთა ჯგუფზე შთაბეჭდილება მოახდინა მცოდნე და ენთუზიაზმით სავსე პერსონალმა, განსაკუთრებით მათ, ვინც ასწავლის პროფესიონალურ უნარებს ჟურნალისტიკაში, რომელთაგან ბევრს დიდი ხნის კარიერა აქვს მედიაში. ის, რომ სტუდენტებს აქვთ წვდომა მოწვეულ პერსონალზე, რომლებსაც აქვთ ინდუსტრიის ასეთი პროფესიული ცოდნა და უნარები, პროგრამას უნიკალურ დინამიკას მატებს. ბევრ აკადემიურ პერსონალს აქვს მედიისა და კომუნიკაციების კურსების ჩატარების მრავალწლიანი გამოცდილება, აქვეყნებს ვრცლად ქართულ ჟურნალებში ან ქმნის მნიშვნელოვან სასწავლო სახელმძღვანელოებს სტუდენტებისთვის; აქვე მივესალმებით იმ ცვლილებას, რომ პროგრამა უფრო მეტად ორიენტირდა პრაქტიკაზე დაფუძნებულ სწავლებაზე. ექსპერტთა ჯგუფზე ასევე შთაბეჭდილება მოახდინა ინდუსტრიის ექსპერტებისა და კურსდამთავრებულებისგან გამოვლენილმა ენთუზიაზმმა, რომელთაც მხოლოდ კარგი ჰქონდათ სათქმელი ამ პროგრამასა და სწავლის ხარისხზე, ასევე კურსდამთავრებულებმაც შეაქეს საკუთარი სასწავლო გამოცდილება. დამსაქმებლებმა ასევე აღნიშნეს იმ კურსდამთავრებულების ხარისხი, რომლებიც მათ მიიწვიეს სამუშაო ადგილზე ან შემდგომ დაასაქმეს.

მთლიანობაში, ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ უნივერსიტეტის წევრები იყვნენ ღია და გამჭვირვალე თავიანთი საქმიანობის შესახებ და ექსპერტთა ჯგუფს დაეხმარნენ საჭირო ინფორმაციის მიღებაში. ზოგჯერ იყო შემთხვევები, რომ კითხვაზე პირდაპირი პასუხის ნაცვლად, ზედმეტად გრძელ პასუხებს იძლეოდნენ, თუმცა საერთო ჯამში, ექსპერტთა ჯგუფი კმაყოფილია მიღებული ინფორმაციით. ექსპერტთა ჯგუფისთვის უზრუნველყოფილი იყო კვება და ზოგადად უნივერსიტეტმა ექსპერტები თბილ გარემოში მიიღო.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გუნდი ასევე ძალიან დაეხმარა ექსპერტთა ჯგუფს დოკუმენტაციის მიღებაში, ცენტრის წარმომადგენლები კონსულტაციას უწევდნენ საერთაშორისო თავმჯდომარეს მგზავრობის საკითხებთან და საქართველოს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებთან დაკავშირებით.

- **საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

  1 სტანდარტი: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

  2 სტანდარტი: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

  3 სტანდარტი: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

  4 სტანდარტი: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

  5 სტანდარტი: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

რეკომენდაციები

- რეკომენდებულია შეიცვალოს შეფასების შესრულების მეთოდი და გახდეს უფრო მოქნილი, პროგრამის გაუმჯობესების ძირითადი მიზნებისთვის.
- რეკომენდირებულია გარე შეფასების მეთოდოლოგიის შეცვლა და უნივერსიტეტის მიერ განხორციელების შემთხვევაში არა მხოლოდ ფორმალური, არამედ შესაბამისი უკუკავშირის მიღება.
- რეკომენდებულია შეიცვალოს კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების ჩართულობის მეთოდები პროგრამის განვითარებაში და თანამშრომლობის პროცესი გახდეს მოქნილი, ბიუროკრატიული, ქაღალდზე დაფუძნებული სამუშაოს გარეშე, შესაბამისი ეფექტური

უკუკავშირის მისაღებად, რაც სასარგებლო იქნება კურიკულუმების მოდიფიკაციისა და განვითარებისათვის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- მოვუწოდებთ პროგრამას გააფართოვოს შესაძლებლობები საერთაშორისო სტუდენტებისა და პერსონალის გაცვლითი პროგრამებისთვის.
- მოვუწოდებთ ფაკულტეტს, გააფართოვოს პროგრამის შეფასების მეთოდები, რათა მოიცავდეს ფოკუს ჯგუფებს დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან, ნაცვლად ვიწრო-მოცულობის გამოკითხვებისა. ეს ხელს შეუწყობს უფრო მდიდარ უკუკავშირს სწავლის შედეგებსა და პროგრამის სტრუქტურაზე.
- სასურველია სტუდენტური მედიასაშუალებების გახსნა, რაც შეიძლება მალე. ონლაინტელევიზია და ონლაინგაზეთი და/ან ჟურნალი მნიშვნელოვანი კონტექსტია სტუდენტებისთვის, რათა განავითარონ თავიანთი ჟურნალისტური პრაქტიკა.
- სასურველია, სტუდენტები წაახალისოთ, რათა მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში ასევე საქართველოსა თუ საზღვარგარეთ ჩატარებულ სტუდენტურ კონფერენციებში.
- უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა გაზარდოს მხარდაჭერის ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს აკადემიური პერსონალის ინტერნაციონალიზაციას.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]**

როგორც მოწინავე ტექნიკური უნივერსიტეტი, სტუ ახორციელებს თავის პროგრამებს ინდუსტრიის პროფესიული საჭიროებების გათვალისწინებით. ჟურნალისტიკის სფეროში პროგრამა მუდმივად ატარებდა მაღალი ხარისხის სწავლებას, უშვებდა კურსდამთავრებულებს, რომლებმაც განაგრძეს წარმატებული კარიერა ბეჭდვითი მედიისა და მაუწყებლობის სექტორებში. აკადემიურ და პროფესიულ უნარებზე დაფუძნებული სწავლისა და სწავლების კომბინაცია პროგრამის ნამდვილი სიძლიერეა. ექსპერტთა ჯგუფმა აღმოაჩინა, რომ როგორც ამჟამინდელი სტუდენტები, ასევე კურსდამთავრებულებიც სარგებლობენ სწავლის ამ შერეული მიდგომით, რაც მათ თავდაჯერებულობას აძლევს ჟურნალისტის პროფესიაში შესასვლელად. ამ თვალსაზრისით, სტუ უზრუნველყოფს წარმატების მაღალ ნიშნულს ჟურნალისტიკის განათლების საბაკალავრო საფეხურზე.

- **ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე**

  დაწესებულება სრულად იზიარებს დასკვნის პროექტში წარმოდგენილ შეფასებას.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ პროგრამის ხელმძღვანელმა და პერსონალმა ბევრი იმუშავა 2022 წლიდან პირობითი აკრედიტაციის რეკომენდაციების შესასრულებლად. აშკარად მნიშვნელოვანი დრო და ენერგია დაიხარჯა პროგრამის შესაცვლელად, ექვსი ძირითადი რეკომენდაციის გამოსასწორებლად და

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

განსახორციელებლად. ეს მოიცავდა საბაკალავრო პროგრამის სახელის გადარქმევას, პროგრამის მიზნისა და სწავლის შედეგების გადახედვას, სასწავლო გეგმის საგნობრივი დატვირთვის გადახედვას, სწავლის ევრისტიკულ მიდგომაზე გადასვლას, დაშვების წინაპირობების გადახედვას და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ჩარიცხვას.

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამა მიეკუთვნება ჟურნალისტიკა და რეპორტიორობის დეტალურ სფეროს (0321), რომელიც განსაზღვრულია იუნესკოს სწავლების სფეროების კლასიფიკატორით (2013), როგორც „ჟურნალისტიკის/რეპორტიორობის თეორიისა და პრაქტიკის, როგორც მასობრივი კომუნიკაციის სფეროს ნაწილის შესწავლა. ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა ეხება გზავნილების სიტყვიერ ფორმირებასა და მათ შინაარსს.“ იგი განთავსებულია სოციალურ მეცნიერებათა ზოგად სამეცნიერო სფეროში.

თვითშეფასების ანგარიში (SER) ასახავს პროგრამის მიზანს, მოამზადოს კურსდამთავრებულები ჟურნალისტიკის სპეციალიზებული ცოდნით, შესაბამისი პრინციპებითა და ღირებულებებით, რომელიც შეძლებს მთელ მედია სფეროში მუშაობას, მათ შორის ბეჭდვით მედიაში, რადიოში, ტელევიზიაში, ონლაინ და ციფრული მედიის სხვა ფორმებში. მიზანია, ისეთი განათლება მისცენ კურსდამთავრებულს რომ მან შეძლოს საქართველოსა და საზღვარგარეთ მიმდინარე მოვლენების, პრობლემებისა და სიახლეების მოძიება, შეფასება და გადმოცემა. პროგრამა მიზნად ისახავს ამის შესრულებას ისეთი კურსების მიწოდებით, რომლებიც განავითარებენ დაგეგმვის, მომზადებისა და პრეზენტაციის უნარებს (როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი), პროფესიული სტანდარტების შესაბამისად, ბეჭდური, სამაუწყებლო მედიისა და ციფრული მედიის პლატფორმებისთვის. ჟურნალისტიკის ტექნიკურ ასპექტებზე და საქართველოს

ეკონომიკისა და საზოგადოების საჭიროებების დაკმაყოფილებაზე ორიენტირებით, პროგრამა პასუხობს სტუ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას.

ადგილზე ვიზიტიდან და მედიის დამსაქმებლებთან გასაუბრებიდან ირკვევა, რომ პროფესიონალური სტანდარტების შესაბამისი მოხსენებების წერისა და წარდგენის უნარები მოთხოვნადია ადგილობრივ დასაქმების ბაზარზე და აკმაყოფილებს ჟურნალისტიკის თანამედროვე გამოწვევების როგორც ეროვნულ, ისე გლობალურ მოთხოვნილებებს. პროგრამა ასევე მიზნად ისახავს, თავის კურსდამთავრებულებს მიაწოდოს ჟურნალისტური თეორიების და პრინციპების ცოდნა წერილობით მედიაში, რადიოში, ტელევიზიასა და მულტიმედიაში, ფართო სოციალურ მეცნიერებებთან და თანამედროვე ენებთან ერთად. პროგრამა, ასევე მიზნად ისახავს მედიის კომერციული ასპექტების, განსაკუთრებით მედია მარკეტინგისა და რეკლამის თეორიული ცოდნის მიწოდებას. ეს უკანასკნელი ასპექტი ოდნავ არ შეესაბამება ჟურნალისტიკას, თუმცა საზოგადოებასთან ურთიერთობაზე ფოკუსირება, რა თქმა უნდა, აქტუალურია თანამედროვე ჟურნალისტური პრაქტიკისთვის.

პროგრამის გუნდმა ხაზი გაუსვა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია იმ ათი ახალი კურსის დანერგვა, რომლებიც პასუხობენ ინდუსტრიის საჭიროებებს სწრაფად ცვალებად მედიაგარემოში. პრაქტიკაზე დაფუძნებულ სწავლებაზე ორიენტირება მართლაც რომ შენაძენია განახლებული კურიკულუმის დიზაინისთვის და გუნდის რამდენიმე წევრმა აღნიშნა რომ ეს დიდი ხნის წინ უნდა გაკეთებულიყო. გარდა ჟურნალისტური ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარებისა, განახლებული პროგრამა, ასევე მიზნად ისახავს სტუდენტებისთვის კვლევითი მეთოდების სწავლებას, რათა მათ წარმატებით შეასრულონ საბაკალავრო ნაშრომი. წინა აკრედიტაციის დროს იყო ამის ნაკლებობა და მისასალმებელი დანამატია ეს ასპექტი ახალ პროგრამაში. სტუდენტთა დასახმარებლად შემუშავდა ახალი ლიტერატურა, რომელიც შესაძლებელია რომ ფართოდ გამოიყენებოდეს საქართველოში სხვა მსგავს პროგრამებზე.

ესპანეთის, ლატვიისა და ჩეხეთის რესპუბლიკის საერთაშორისო უნივერსიტეტების მსგავს პროგრამებთან კურიკულუმის ბენჩმარქინგი ღირებული პრაქტიკა აღმოჩნდა. ამან საშუალება მისცა პროგრამის გუნდს შეაფასოს, თუ სად შეესაბამება ჟურნალისტიკის პროგრამა ევროპის სხვა ქვეყნებში (მადრიდი) აღიარებული პროგრამების საერთაშორისო სტანდარტებს და შეადაროს ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში (პრაღა) და ახალ სუვერენულ დემოკრატიულ ქვეყნებში დაფუძნებული პროგრამების გამოცდილება და წარმატებული შედეგები. მიღებული სასწავლო გეგმა შეესაბამება აღწერილ მიზნებსა და შედეგებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრება მედიის დამსაქმებლებთან
- გასაუბრება პროგრამის მენეჯერებთან
- გასაუბრება სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან
- პროგრამის სილაბუსები

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	☒	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზანს და მოიცავს ძირითად ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობებს, რომლებიც დაკავშირებულია ჟურნალისტიკის ცოდნასთან და პრაქტიკასთან. პროგრამის ათი სწავლის შედეგი ნათლად განსაზღვრავს და გამოხატავს ამ სფეროში კურსდამთავრებულთა თანამედროვე ცოდნის მოთხოვნებს. სწავლის შედეგები მიიღწევა ჟურნალისტიკის თანამედროვე საკითხების ცოდნის აუცილებლობაზე, ცვალებად მედიაგარემოში საჭირო ტექნიკურ და ტრანსფერულ უნარებზე, წერილობითი და ვერბალური კომუნიკაციის უნარების მნიშვნელობაზე, მედიის სხვადასხვა პლატფორმაზე ჟურნალისტებისთვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების არსებობის მოთხოვნაზე ფოკუსირებით და ასევე დამოუკიდებელი კვლევისთვის საჭირო ცოდნაზე და ფართო საზოგადოებაში ჟურნალისტების სოციალურ პასუხისმგებლობაზე ყურადღების გამახვილებით.

შესაბამისად, პროგრამა აკმაყოფილებს ჟურნალისტიკის და რეპორტიორობის დარგობრივ მახასიათებლებს, შეესაბამება ინდუსტრიის დასაქმების მოთხოვნებს და ასევე კურსდამთავრებულს აძლევს შესაძლებლობას, სწავლა გააგრძელოს მომდევნო საფეხურზე. თვითშეფასების ანგარიშიდან და ადგილზე ვიზიტის შედეგად მივიღეთ იმის მტკიცებულებები, რომ პროგრამამ კონსულტაციები გაიარა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან (პერსონალი, სტუდენტები, დამსაქმებლები).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- დანართები პროგრამის სილაბუსით და კურსის აღწერილობით
- ინტერვიუები თანამშრომლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, მედიის დამსაქმებლებთან და სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთან

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	☒	☐	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტუ-მ დააკმაყოფილა საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და გაუმჯობესების შიდა დებულება, რომელიც დამტკიცდა აკადემიური საბჭოს 2019 წლის 23 სექტემბრის განკარგულებით. ამ დებულების მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამებს აფასებს სპეციალური კომისია შემდგომი გაუმჯობესებისთვის. სტუ-ს აქვს პროგრამის სწავლის შედეგი, ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამისთვის დამტკიცებული შეფასების მექანიზმები, სადაც კარგად არის განსაზღვრული შეფასების წესები, სასწავლო გეგმის რუკა და სამიზნე ნიშნულები. შინაგანაწესის მიხედვით, პროგრამის სწავლის შედეგები უნდა შეფასდეს შემაჯამებელი და განმავითარებელი შეფასებით. ამ პროცესში ჩართულნი უნდა იყვნენ სტუდენტები, პერსონალი, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. შესაბამისი მონაცემები გროვდება ფოკუს-ჯგუფებიდან; ამ მონაცემებს აანალიზებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამის კოორდინატორებთან ერთად. მონაცემები ნაწილობრივ სპეციალური შიდა პლატფორმის მეშვეობით გროვდება, ხოლო კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან კომუნიკაცია ელექტრონული ფოსტით ხდება. შემუშავებულია კითხვარი სწავლის შედეგების შესაფასებლად. კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები თანდართულია აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშზე, ისევე როგორც შრომის ბაზრის შესახებ ინფორმაცია და დამსაქმებელთა გამოკითხვები. კურსდამთავრებულთა გამოკითხვა არ არის ანონიმური. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა

ექსპერტთა ჯგუფს განუმარტა, რომ კურსდამთავრებულთა გამოკითხვა არ უნდა იყოს ანონიმური, რამდენადაც პროგრამის გასაუმჯობესებლად საჭიროა ზუსტი პასუხები შესაბამისი კურსდამთავრებულებისგან. სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა განმარტა, რომ მათ უნდა იცოდნენ სად არიან კურსდამთავრებულები დასაქმებულები, რა სახის წარმატებას მიაღწიეს, რას მიიჩნევენ პროგრამის სუსტ და ძლიერ მხარეებად, თავიანთი ინდივიდუალური პროფესიული გამოცდილების საფუძველზე. სავალდებულო მოთხოვნაა, რომ გამოკითხვაში ჩართულ კურსდამთავრებულებს არ ჰქონდეთ რაიმე სახის სამართლებრივი ურთიერთობა უნივერსიტეტთან. კურსდამთავრებულთა გამოკითხვა, რომელიც წარმოდგენილია SER-ის დანართებში, მიმდინარეობდა სტუ-ს შიდა რეგლამენტის შესაბამისად, მაგრამ შეინიშნება დეტალური ანალიზის ნაკლებობა. ამიტომ ბუნდოვანია, როგორ გაანალიზდა გამოკითხვის შედეგები და მიიღეს თუ არა რაიმე რეკომენდაცია და განხორციელდა თუ არა ეს რეკომენდაციები პროგრამის შედეგებში. აკრედიტაციის გასაუბრებისას ექსპერტთა ჯგუფს ეცნობა, რომ პროგრამის პრაქტიკული კომპონენტები დაემატა კურსდამთავრებულთა ძირითადი რეკომენდაციების საფუძველზე.

სტუ-მ წარადგინა შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა კვლევა საქართველოს პირველი არხის, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაუწყებლო კომპანიის - Tv პირველის და აჭარის განათლების ფონდის ფოკუს-ჯგუფების საფუძველზე. პროგრამის კოორდინატორმა განმარტა, რომ მათ გადაწყვიტეს გამოკითხულიყო ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რადგან ისინი, ვინც ამ უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის პროგრამას ახორციელებდნენ, სტუ-ს კურსდამთავრებულები არიან. ექსპერტთა ჯგუფი თანხმდება, რომ სტუ-ს პროგრამისთვის რელევანტური იყო ბსუ-ს გამოკითხვა, სასარგებლო უკუკავშირის მისაღებად. მიუხედავად ამისა, ექსპერტთა აზრით, შეფასება შეიძლებოდა გაუმჯობესებულიყო შესაბამისი ფოკუს ჯგუფებიდან მიღებული ინფორმაციით, კერძოდ პოტენციური დამსაქმებლების ფოკუს ჯგუფებიდან, როგორიცაა წერილობითი პრესა, რადიო და ტელემაუწყებელი კომპანიები, ინტერნეტ-ჟურნალისტური პორტალები, საინფორმაციო სააგენტოები, საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტები და პრესცენტრები. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ მიზანშეწონილი იქნება პოტენციურ დამსაქმებელთა ფართო წრეების გამოკითხვა დამსაქმებლის მოთხოვნებისა და რეკომენდაციების შესახებ სრული მონაცემების მისაღებად. თვითშეფასების დოკუმენტებს აკლდა უფრო ღრმა ანალიზი იმის დასადგენად, თუ რამდენად ახდენდა კვლევის შესაბამისი შედეგები პირდაპირი გავლენას სწავლის შედეგებზე. ექსპერტთა ჯგუფმა ასევე აღმოაჩინა, რომ პერსონალის გამოკითხვების პასუხები მოიცავდა დიაგრამებს, სადაც პროგრამას 100%-იანი მოწონება ჰქონდა და არ იყო არანაირი კონსტრუქციული კრიტიკა ან უკუკავშირი. ამან ექსპერტთა ჯგუფს დაუტოვა შთაბეჭდილება რომ არ არსებობს პროგრამისთვის, თუნდაც მცირე, გასაუმჯობესებელი მხარეები, რაც ექსპერტთა აზრით კონტრ-პროდუქტიულია პროგრამის სამომავლო განვითარებისთვის, სწრაფად ცვალებად მედიაგარემოში.

ექსპერტთა ჯგუფმა მოისმინა, თუ როგორ ხდება პროგრამის კომპონენტების სწავლის შედეგების შეფასება და ანალიზი ყოველი სემესტრის ბოლოს, კრიტერიუმების შესაბამისად, ხოლო პროგრამის საბოლოო შედეგები ფასდება ყოველი ციკლის ბოლოს. მაგალითად, ოთხ წელიწადში ერთხელ.

არ იყო წარმოდგენილი სხვა სახის შეფასების შედეგების ან ანალიზის დოკუმენტები.

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სხვადასხვა გასაუბრების შედეგების შესაჯამებლად, შეიძლება ხაზი გავუსვათ რამდენიმე პუნქტს:

1. სტუ-ს აქვს სწავლის შედეგების შეფასებასთან დაკავშირებული შინაგანაწესი;
2. რეგლამენტი ითვალისწინებს შეფასების ციკლს;
3. სტუ-ს აკლდა მტკიცებულებების ანალიზი იმის თაობაზე, თუ რა წვლილი შეაქვს შეფასებას სასწავლო პრაქტიკაში, ნაწილობრივ იმიტომ, რომ ეს პროცედურა ზედმეტად ბიუროკრატიული და ქაღალდზე დაფუძნებულია.
4. აკრედიტაციის შეხვედრებმა დაგვანახა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის ოფისი და პროგრამის კოორდინატორი გაცილებით მეტ სამუშაოს ასრულებენ პროგრამის გაუმჯობესების შესანარჩუნებლად, ვიდრე აღწერილია დოკუმენტაციაში; მათი ეს საქმიანობა აღწერილი უნდა ყოფილიყო დოკუმენტაციაში.

ექსპერტთა ჯგუფის წევრები შეთანხმდნენ, რომ მომავალში გონივრული იქნება შეფასების შესრულების მეთოდოლოგიის გაუმჯობესება, რათა ის უფრო მოქნილი და მდიდარი იყოს მონაცემებითა და ანალიზით, რომ მხარი დაუჭიროს პროგრამის გაუმჯობესებას. მაგალითად, წერილობითი კითხვარების გაზიარების ნაცვლად, შეიძლება ორგანიზება გაუკეთდეს სხვადასხვა ფოკუს-ჯგუფები, მოეწყოს სტრუქტურირებული ინტერვიუები კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან, სადაც განსახილველად წარმოდგენილი იქნება შესაბამისი თემები და მიიღება საჭირო რჩევები და რეკომენდაციები, რომლებიც შემდგომში შეიძლება დოკუმენტირებული იყოს უნივერსიტეტის მიერ. გონივრული იქნება თუკი გამოკითხვები ჩატარდება შესაბამისი მეთოდოლოგიის სწორი გამოყენებით, რომ მონაცემები შესაბამისი წესებით შეგროვდეს და გაანალიზდეს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების დოკუმენტი,
- სტუ-ს შიდა დებულება პროგრამის დაგეგმვის, შექმნის, შეფასების და გაუმჯობესების შესახებ
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- კურსდამთავრებულთა გამოკითვა
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა გამოკითხვა
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია შეიცვალოს შეფასების შესრულების მეთოდი და გახდეს უფრო მოქნილი, პროგრამის გაუმჯობესების ძირითადი მიზნებისთვის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	☐	☒	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ჟურნალისტიკის ბაკალავრიატის სასწავლო გეგმის დიზაინი პირდაპირ პასუხობდა 2022 წლის აკრედიტაციის პროცესის რეკომენდაციებს. სტუ-მ პროგრამისთვის შექმნა თვითშეფასების ჯგუფი, რომელშიც გაერთიანებული არიან აკადემიკოსები და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დარგის სპეციალისტები/პოტენციური დამსაქმებლები. თვითშეფასების ანგარიშსა და დამატებით დოკუმენტებში მოცემულია სწავლის შედეგების დადგენის შეფასების პროცესის დეტალები, თუმცა ამ პროცესების შედეგები სრულად არ იყო მოცემული ძირითად დოკუმენტში. დამატებით დოკუმენტაციაში მოცემულია თითოეული კურსის/მოდულის სწავლის შედეგების რუკა, რომლებიც შეესაბამება პროგრამის საერთო მიზნებს.

ადგილზე ვიზიტის დროს ეს პროცესი განვიხილეთ და ასევე მივიღეთ დამატებითი მტკიცებულება იმის თაობაზე, თუ როგორ განხორციელდა ცვლილებები პერსონალისგან, სტუდენტებისგან, კურსდამთავრებულებისგან და დამსაქმებლებისგან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე. კურსდამთავრებულებმა და დამსაქმებლებმა წარმოადგინეს პროგრამის პრაქტიკაზე დაფუძნებული ელემენტების გაზრდის აუცილებლობის ყველაზე ნათელი მტკიცებულება. ამ რჩევის საფუძველზე დაინერგა ახალი კურსები, მათ შორის: სატელევიზიო სტუდიის სპეციფიური გამოყენება სატელევიზიო ჟურნალისტიკაში (პრეზენტაციისა და მონტაჟის უნარები); სოციალურ საკითხებთან, ტერორიზმთან, კონფლიქტებთან და ბავშვებთან დაკავშირებული ახალი ამბების ჟურნალისტიკის კურსები;

რადიოჟურნალისტიკის თეორიისა და პრაქტიკის შერწყმა; კურსის დანერგვა სოციალურ მედიაში; და კონკრეტული კურსი კვლევის მეთოდების შესახებ, რაც სტუდენტებს ნაშრომზე მუშაობაში დაეხმარება. ამ რჩევების უმეტესი ნაწილი მიიღეს კითხვარების საშუალებით, თუმცა თვითშეფასების ანგარიშში ნახსენებია დამსაქმებელთა ფოკუს ჯგუფი. თუმცა ამის მტკიცებულება არ არსებობს.

მიღებული სასწავლო გეგმა შეესაბამება აღწერილ მიზნებსა და შედეგებს, იგი აღიარებს იმ ცოდნისა და უნარების ცვალებად მოთხოვნებს, რაც სტუდენტებს სჭირდებათ რთულ მედია გარემოში სამუშაოდ და დემოკრატიული პროცესების განვითარებისთვის. იმის გამო, რომ პროგრამაში დაინერგა ახალი კურსების მნიშვნელოვანი რაოდენობა, სილაბუსები გადაიხედა, რათა პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სირთულე უზრუნველყოფდეს თანმიმდევრულობასა და სწავლების ლოგიკურ ციკლს სტუდენტებისთვის. პროგრამის ჯგუფმა მოგვცა ადეკვატური ახსნა, თუ როგორ განიხილეს და განხორციელდა ეს ცვლილებები. პროგრამა ახლა იძლევა გამორჩეულ განათლებას ჟურნალისტიკის თეორიასა და პრაქტიკაში, ხოლო ამჟამინდელმა სტუდენტებმა კიდევ ერთხელ დააფიქსირეს თუ რამდენად მოხარულნი არიან ამ ახალი სტრუქტურით. პროგრამა შეესაბამება საქართველოს საკანონმდებლო და უსდ-ს ჩარჩოებს ბაკალავრიატის დონეზე; არის ლოგიკური, თანმიმდევრული და შეესაბამება პროგნოზირებულ სწვლის შედეგებს.

ინტერნაციონალიზაციის კუთხით, სასწავლო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტების შესაძლებლობას, გაეცნონ გლობალურ მედია გარემოს და შეიძინონ თანამედროვე ჟურნალისტიკისათვის საჭირო უნარ-ჩვევები, რათა გაანალიზონ და გააცნობიერონ თანამედროვე მსოფლიოს სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური საკითხები. ექსპერტთა ჯგუფმა მოწვეული პერსონალისგან გაიგო, რომ ფაკულტეტი მათ მხარს უჭერდა საერთაშორისო ერასმუსის გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად. მოწვეულმა თანამშრომლებმა ასევე ხაზი გაუსვეს ჟურნალისტიკის სწავლების ცოდნისა და უნარების საერთაშორისო სტანდარტების დაცვის მნიშვნელობას, რაც დადასტურდა სატელევიზიო სტუდიისა და მულტიმედიური კომპიუტერული ლაბორატორიების ვიზიტის დროს, რომლებიც, მედია წარმოებისთვის, იყენებენ გლობალური სტანდარტების შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფას. კურსები ეკოლოგიური ჟურნალისტიკის, სოციალური მედიის, ახალი მედიის, მულტიმედიის, საიმიგრაციო ჟურნალისტიკის და ტერორიზმის შესახებ მიმართულია სტუდენტის ცნობიერების გაფართოებაზე გლობალურ საკითხებსა და მასობრივ კომუნიკაციებზე. საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მეტი შესაძლებლობები, ან მსოფლიოს სხვა ქვეყნების აკადემიურ კვლევებთან მეტად დაკავშირება უფრო მეტად გააძლიერებს პროგრამის ინტერნაციონალიზაციას.

ჟურნალისტიკის პროგრამა სტუდენტებს უცხო ენების არჩევანს სთავაზობს, მათ შორის: ინგლისური, ფრანგული, რუსული და გერმანული. ეს კი პროგრამას აძლევს საერთაშორისო განზომილებას და აძლიერებს მის სწავლის შედეგებს.

ექსპერტთა აზრით, პროგრამის შინაარსისა და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, სტუ-ში ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი შეესაბამება საქართველოში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს. კურსი ასევე შეესაბამება კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემას (ECTS). დოკუმენტებში წარმოდგენილი სწავლის შედეგები რეალისტურია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამის სწავლის შედეგები
- ჟურნალისტიკის პროგრამა
- პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება
- შეფასება/კითხვარების ანგარიში
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მოვუწოდებთ პროგრამას გააფართოვოს შესაძლებლობები საერთაშორისო სტუდენტებისა და პერსონალის გაცვლითი პროგრამებისთვის;
- მოვუწოდებთ ფაკულტეტს, გააფართოვოს პროგრამის შეფასების მეთოდები, რათა მოიცვას ფოკუს ჯგუფები დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან, ნაცვლად ვიწრო ფოკუსის მქონე გამოკითხვებისა. ეს ხელს შეუწყობს უფრო მდიდარი უკუკავშირის მიღებას სწავლის შედეგებსა და პროგრამის სტრუქტურის შესახებ.

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	☒	☐	☐	☐

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამამ - ჟურნალისტიკა - პირობითი აკრედიტაციის პერიოდში მნიშვნელოვანი დადებითი ცვლილებები განიცადა სასწავლო კურსების

რაოდენობის მხრივ. პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, ხელმძღვანელმა და აკადემიურმა პერსონალმა ორი წლის განმავლობაში სასწავლო გეგმას დაამატა ათი საგანი, რომლებიც შეესაბამება ძირითად სასწავლო გეგმას და მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ, პროგრამას დაემატა შემდეგი საგნები: „მედიის თეორიები“, „რადიოჟურნალისტიკის თეორია და პრაქტიკა“, „სოციალური საკითხების შესწავლა“, „სოციალური მედია“, „ტერორიზმის მოკვლევა“, „შესავალი მედიის კვლევის მეთოდებში“, „ ბავშვთა საკითხები“, „ვერბალური საკომუნიკაციო ტექნოლოგიები“, „სატელევიზიო ჟურნალისტიკის საფუძვლები“, „ტელეჟურნალისტის უნარები“.

საგანმანათლებლო პროგრამაში სავალდებულო საგნების კრედიტების ჯამური რაოდენობაა 176 ECTS. პროგრამის სტრუქტურის მიხედვით, სავალდებულო კრედიტების ოდენობა პირველ სასწავლო წელს არის -50, მეორე სასწავლო წელს - 55, მესამე სასწავლო წელს -49, ხოლო მეოთხე სასწავლო წელს -20, დამატებული პროფესიული პრაქტიკა (12. კრედიტი) და საბაკალავრო ნაშრომი (10 კრედიტი).

პროგრამაში წარმოდგენილია 69 სასწავლო კურსის სილაბუსები. კურსის სილაბუსების განხილვის შემდეგ ექსპერტებმა დაასკვნეს, რომ სასწავლო კურსებზე განაწილებული კრედიტების რაოდენობა შეესაბამება სასწავლო კურსის მიზნებსა და ამოცანებს. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო კურსებისთვის ESTC კრედიტები მერყეობს 4-დან 6 კრედიტამდე. გამონაკლისია მხოლოდ საბაკალავრო ნაშრომი, რომელიც ათი კრედიტია, და ასეც უნდა იყოს.

სილაბუსებში ჩაწერილი საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო საათების რაოდენობა ადეკვატურია და ასახავს თითოეული სასწავლო კურსის მახასიათებლებს. გარდა ამისა, თითოეული სასწავლო კურსის მიზნები და ამოცანები ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს.

სილაბუსებში აღწერილია არა მხოლოდ სემესტრის განმავლობაში დაგეგმილი სასწავლო თემები, არამედ სწავლა-სწავლების მეთოდები და აქტივობები, რომლებსაც გამოიყენებს თითოეული კურსის ავტორი. თითოეული კომპონენტის შეფასების რუბრიკები ნათლად არის აღწერილი სილაბუსის შეფასების განყოფილებაში. და ბოლოს, სილაბუსების ავტორებმა მიუთითეს როგორც სავალდებულო სასწავლო ლიტერატურა, ასევე დამხმარე წიგნები და წყაროები. ექსპერტთა ჯგუფმა შემთხვევითობის პრინციპით შეამოწმა ლიტერატურა, შეარჩია რამდენიმე სილაბუსი და დარწმუნდა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბიბლიოთეკა ფლობდა სავალდებულო ლიტერატურას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1,5. სასწავლო კურსი/საგანი	☒	☐	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტუ-მ განსაზღვრა ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები. წინაპირობებში აღნიშნულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიღების ზოგადი წესი, რაც გულისხმობს, რომ აპლიკანტები შეიძლება ჩაირიცხონ ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებით, ან ეროვნული გამოცდების გარეშე, უცხოური განათლების აღიარების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებით. ამასთან, აღნიშნულია, რომ სტუდენტებმა, რომლებიც პროგრამაზე ჩარიცხვას ცდილობენ ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, უნდა დაადასტურონ ქართული ენის ცოდნა B2 დონეზე, შესაბამისი სერტიფიკატით. მათ აქვთ გასაუბრება სპეციალურ კომისიასთან ან შესაძლოა დაწერონ საუნივერსიტეტო გამოცდა. სტუ უზრუნველყოფს ქართული ენის მომზადების სპეციალურ პროგრამას (60 ECT) მათთვის, ვისაც შესაბამისი კომპეტენცია არ გააჩნია. ამ პროგრამაში ჩარიცხულ აბიტურიენტებს პირველი კურსის განმავლობაში უტარდებათ ენის ინტენსიური კურსი და მხოლოდ მისი დასრულების შემდეგ შეუძლიათ სწავლის გაგრძელება ბაკალავრიატის დონეზე.

დაშვების წინაპირობები განისაზღვრება კანონმდებლობის შესაბამისად, არის შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი და საჯარო. პროგრამებზე დაშვების წინაპირობები გამოქვეყნებულია სტუ-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე. ჟურნალისტიკის ახალი პროგრამა ყველა შესაბამისი ინფორმაციით, მათ შორის დაშვების წინაპირობებით, აკრედიტაციის მინიჭების შემთხვევაში გამოქვეყნდება/განახლდება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- საბაკალავრო პროგრამა
- სტუ-ს ოფიციალური ვებგვერდი https://gtu.ge/GTU/About/programs/bachelor/social/geo.php
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	☒	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა უზრუნველყოფს პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი /შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას სასწავლო გეგმის სხვადასხვა კომპონენტისა და კლასგარეშე აქტივობების მეშვეობით: პრაქტიკული და თეორიული კურსების ხელმისაწვდომობა; სტაჟირების შესაძლებლობა სხვადასხვა მედიასაშუალებებში; მჭიდრო ურთიერთობა აკადემიურ საზოგადოებაში; ის, რომ პედაგოგიური პერსონალის წევრები არიან დარგის პრაქტიკოსები.

უსდ-ს საქართველოს სხვადასხვა მედიასაშუალებებთან აქვს დადებული მემორანდუმი სტუდენტებისთვის სტაჟირების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად. ვიზიტის დროს, პროგრამის დაინტერესებულმა მხარეებმა ისაუბრეს სტაჟირების ორგანიზების გზებზე და სტუდენტების პრაქტიკული უნარების დაუფლების სხვა შესაძლებლობებზე. მაგალითად დასახელდა საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის TELEDOC-ის პროგრამაში სტუდენტების აქტიური მონაწილეობა .

უნივერსიტეტი ასევე ჩართულია Erasmus+ პროგრამაში, რომლის მეშვეობითაც სტუდენტებს შესაძებლობა აქვთ მიიღონ სამოგზაურო გრანტები და მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში. თუმცა, ადგილზე ვიზიტის დროს არცერთ სტუდენტს ან კურსდამთავრებულს არ უთქვამს, რომ მათ ეს შესაძლებლობა გამოიყენეს. შესაბამისად, უნივერსიტეტმა კიდევ უფრო უნდა წაახალისოს მათი სტუდენტები, რომ მონაწილეობა მიიღონ აღნიშნულ პროგრამაში.

უნივერსიტეტს აქვს სრულად აღჭურვილი სატელევიზიო სტუდია და რამდენიმე კომპიუტერული კლასი, ვიდეო და აუდიო მონტაჟის შესაძლებლობით. უნივერსიტეტი, ასევე უზრუნველყოფს სტუდენტთა მონაწილეობის შესაძლებლობას სტუდენტურ კონფერენციებში და აწყობს სტუდენტური ნამუშევრების ფოტოგამოფენას. ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფს შესაძლებლობა ჰქონდა განეხილა სტუდენტების ნამუშევრები - ფოტორეპორტაჟები, ასევე საკლასო სამუშაოს დროს გადაღებული და დამონტაჟებული მოკლემეტრაჟიანი ფილმები.

ექსპერტთა ჯგუფმა, ასევე შეიტყო, რომ უნივერსიტეტი მართავდა სხვადასხვა სტუდენტურ მედიასაშუალებას - ონლაინტელევიზიას და გაზეთს. თუმცა, ისინი აღარ არის ხელმისაწვდომი ამჟამინდელი სტუდენტებისთვის. მასწავლებელთან გასაუბრებისას ექსპერტთა ჯგუფს აცნობეს, რომ იგეგმება ონლაინ სტუდენტური ტელევიზიის გახსნა, როგორც კი ციფრულ ტელევიზიაზე გადასვლის პროცესი დასრულდება. დისკუსია ასევე შეეხო სტუდენტების მიერ მართული ონლაინ გაზეთის ან ჟურნალის გახსნის შესაძლებლობებს.

ექსპერტთა ჯგუფი ხაზს უსვამს თუ რამდენად მნიშვნელოვანია პროგრამისთვის სტუდენტური მედიასაშუალებების არსებობა და მოუწოდებს უსდ-ს გამოყოს რესურსები ტელევიზიისა და გაზეთის დაუყოვნებელი გახსნისთვის, რათა სტუდენტებს ჰქონდეთ კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობა, გაიარონ პრაქტიკული ტრენინგი ამ სფეროში.

საბაკალავრო ნაშრომი წარმოადგენს მთავარ კურსს იმის უზრუნველსაყოფად, რომ სტუდენტებმა განივითარონ თავიანთი სწავლების საფეხურის შესაბამისი სამეცნიერო/კვლევითი უნარები. ნაშრომის სილაბუსი ისეა ორგანიზებული, რომ სტუდენტებს მიეცეთ საშუალება დამოუკიდებლად იმუშაონ

თავიანთ კვლევაზე, ასევე გამოიყენონ მათთვის ხელმისაწვდომი ბიბლიოთეკა და საერთაშორისო სამეცნიერო ბაზები. სამუშაო პროცესი მოიცავს რეგულარულ შეხვედრებს სამეცნიერო ხელმძღვანელთან, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტებს დაეუფლონ კვლევის უნარებს და უკუკავშირი მიიღონ შესრულებულ სამუშაოზე.

პროგრამის მიერ გაწეული ძალისხმევა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი და ტრანსფერული უნარების გასავითარებლად არის ადეკვატური და შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- SEI
- სასწავლო გეგმა და სილაბუსები
- შეხვედრა დაინტერესებულ მხარეებთან
- შეხვედრა აკადემიურ და სასწავლო პერსონალთან
- შეხვედრა სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან
- სტუდენტური ნაშრომები
- საბიბლიოთეკო რესურსები
- სატელევიზიო სტუდიის და კომპიუტერული კლასების მიმოხილვა
- მემორანდუმები სხვადასხვა მედიასაშუალებასთან

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია სტუდენტური მედიასაშუალებები - ონლაინტელევიზია და ონლაინგაზეთი და/ან ჟურნალი, უმოკლეს დროში გაიხსნას.
- სასურველია სტუდენტები წაახალისოთ, რათა მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში საქართველოსა თუ უცხოეთში ჩატარებულ სტუდენტურ კონფერენციებში.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/ შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	☒	☐	☐	☐

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სწავლებისა და სწავლის მეთოდები მოცემულია პროგრამის თითოეულ სილაბუსში და არის:

- ლექციები,
- სემინარები,
- განხილვა/ დებატები;
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა (PBL);
- შემთხვევის შესწავალა;
- გონებრივი შტურმი:
- დემონსტრირება,
- ინდუქცია/დედუქცია;
- ანალიზი და სინთეზი;
- ვერბალური და ორალური მეთოდი და ა.შ

კურიკულუმის და სილაბუსების განხილვის შემდეგ ექსპერტთა პანელმა ასევე შეიტყო, რომ პროგრამა იყენებს სწავლების თანამედროვე მეთოდებს, როგორიცაა "აყირავებული საკლასო ოთახი", VAK სწავლება და აზროვნებაზე დაფუძნებული სწავლება. უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ პროგრამა ასევე ორიენტირებული იყოს მომავალი ჟურნალისტების პრაქტიკული უნარების განვითარებაზე, პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლებაზე, თანამშრომლობით სწავლებასა და როლურ თამაშზე.

კურსის ლექტორი/ხელმძღვანელი თავისუფალია კურსის შესაბამის სწავლება-სწავლის მეთოდების არჩევაში. საერთო ჯამში, პროგრამაში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები ადეკვატურია და ემსახურება პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- კურიკულუმი და სილაბუსები
- შეხვედრა აკადემიურ და პედაგოგიურ პერსონალთან
- შეხვედრები სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	☒	☐	☐	☐

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტუ-ში ვიზიტის შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ სტუდენტების შეფასება წარმოებს არსებული კრიტერიუმებისა და სტანდარტების შესაბამისად. როგორც წესი, სტუდენტები ფასდებიან 100-ქულიანი სკალით. არსებობს ორი სახის შეფასება: დადებითი და უარყოფითი. დადებითი შეფასება მოიცავს შემდეგს: (A) - ფრიადი - 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; (C) კარგი - 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; (E) საკმარისი - 51-60 ქულა. უარყოფითი შეფასება მოიცავს შემდეგს: (FX) ვერ ჩააბარა 41-50 ქულა; (F) ჩაიჭრა 40 ქულა ან 40 ქულაზე ნაკლები.

შეფასების სისტემა გამჭვირვალეა ყველა სტუდენტისათვის. სტუდენტებს ლექტორები აცნობენ თითოეული საგნის სილაბუსს პირველივე ლექციაზე. ისინი იღებენ ინფორმაციას კურსის დეტალებსა და შეფასების კრიტერიუმებზე. სტუდენტებს შეუძლიათ ნახონ თავიანთი გამოცდის შედეგები საკუთარ ონლაინ პლატფორმაზე. უკმაყოფილების შემთხვევაში სტუდენტებს შეუძლიათ გაასაჩივრონ გამოცდის შედეგები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების დოკუმენტი
- სილაბუსები
- ინტერვიუ სტუდენტებთან
- ინტერვიუ ლექტორებთან

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4. სტუდენტების შეფასება	☒	☐	☐	☐

შესაბამისობა პროგრამის სტანდარტებთან

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტუ-ს სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად შეიძლება ითქვას, რომ სტუდენტებს აქვთ აქტიური კომუნიკაცია ლექტორებთან და პროგრამის კოორდინატორთან. მათ შესაძლებლობა აქვთ გამოიყენონ საკონსულტაციო საათები საჭირებას შემთხვევაში. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ლექტორებს სილაბუსებში არ აქვთ გათვალისწინებული ზუსტი საკონსულტაციო საათები. სტუდენტებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მათ აქვთ თეორიული ცოდნის აქტიურ პრაქტიკაში გატარების დიდი შანსი. მათ ასევე შეუძლიათ აირჩიონ სტუმარი მასტერკლასის ჩასატარებლად და შეათანხმონ ეს საკითხი ლექტორებთან და პროგრამის კოორდინატორთან. ისინი კმაყოფილი არიან ამ პროცესით, რადგან მოწვეული ადამიანები

(ადამიანები, რომლებიც მუშაობენ იმავე სფეროში) სტუ-ს სტუდენტებს უზიარებენ საჭირო და საინტერესო გამოცდილებას.

სტუ-ს სტუდენტები ბევრ აქტივობასა და კონფერენციაში იღებენ მონაწილეობას. სტუდენტებს, ასევე სთავაზობენ სტაჟირების სხვადასხვა შესაძლებლობებს. ზოგიერთმა კურსდამთავრებულმა აღნიშნა, რომ სტაჟირების შესახებ გარკვეულ ინფორმაციას იღებენ სტუ-ს დამთავრების შემდეგაც. კურსდამთავრებულებმა ასევე აღნიშნეს, რომ მუშაობის ან სტაჟირების დაწყებისას, თავს გრძნობდნენ თავდაჯერებულად, რადგან უნივერსიტეტში მიიღეს დიდი პრაქტიკა.

დამსაქმებლებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ სტუ-ს სტუდენტები ნამდვილად კარგად არიან მომზადებულნი სტაჟირებისათვის. მათ იციან სხვადასხვა პროგრამებისა და აღჭურვილობის შესახებ, რომლებსაც ისინი იყენებენ სამუშაო ადგილზე. მათ აღნიშნეს, რომ პრაქტიკა, რომელიც სტუდენტებს აქვთ უნივერსიტეტში, მათთვის სასარგებლოა გამოცდილების და შესაბამისი ცოდნის მისაღებად.

სტუდენტებს შეუძლიათ სემესტრის განმავლობაში შეაფასონ პროგრამა და ლექტორები. მათ ეგზავნებათ კითხვარები, რომლებიც ანონიმურია.

სტუ-ს სტუდენტებს საშუალება აქვთ ისარგებლონ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკით. მათ შეუძლიათ გამოიყენონ ნებისმიერი საჭირო მასალა, როდესაც ისინი იმყოფებიან უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ასევე მათ შეუძლიათ ჰქონდეთ დისტანციური წვდომა ონლაინ მასალებზე კონკრეტული კოდის გამოყენებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- გასაუბრება სტუდენტებთან
- ინტერვიუ ლექტორებთან
- პროგრამის კოორდინატორთან ინტერვიუ
- კურსდამთავრებულებთან ინტერვიუ
- ინტერვიუ დამსაქმებლებთან
- ადგილზე ვიზიტი

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები	☒	☐	☐	☐

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

არ ეხება

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	☐	☐	☐	☐

შესაბამისობა პროგრამის სტანდარტებთან

3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი (აფილირებული და მოწვეული პროფესორები) ფლობენ შესაბამის კვლევით და სწავლების კომპეტენციებს.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამის პერსონალის პროფესიული CV-ები, მათ მიერ განხორციელებული სამეცნიერო საქმიანობა და პრაქტიკულ პროექტებში მათი მონაწილეობის დამადასტურებელი მტკიცებულებები. უსდ-მ წარმოადგინა ბოლო ათი წლის რაოდენობრივი მონაცემები (თუმცა საჭირო იყო მხოლოდ ხუთი წლის). მიუხედავად ამისა, ბოლო ხუთი წლის აქტივობებიც აჩვენებს, რომ პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი ახორციელებდა შესაბამის სამეცნიერო, პრაქტიკულ და სხვა სახის საქმიანობას.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდება შეესაბამება საქართველოს კანონს უმაღლესი განათლების შესახებ, რომელიც გულისხმობს აკადემიური პერსონალის კონკურსით შერჩევას. ყველა პროგრამაში, მათ შორის აკრედიტაციაზე წარმოდგენილ ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამაში, პერსონალი ჩართულია ღია კონკურსის გამოცხადების შემდეგ. ეს მას შემდეგ, რაც საკონკურსო კომისია დაადასტურებს გამარჯვებულის მიერ უნივერსიტეტისა და კანონის მოთხოვნისადმი შესაბამისობას.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად (ყოველ სემესტრში) ატარებს სტუდენტების გამოკითხვას პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესაფასებლად. აკრედიტაციის პაკეტში შეტანილი გამოკითხვის შედეგები ადასტურებს, რომ სტუდენტები მეტწილად კმაყოფილი არიან მასწავლებელთა კომპეტენციით.

სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებისას მათ აღნიშნეს, რომ პროფესორები არიან თავიანთ სფეროში გამოცდილი პროფესიონალები. რესპონდენტებმა ასევე დაადასტურეს, რომ მასწავლებლებს ჰქონდათ კონსულტაციების კონკრეტული გრაფიკი; თუმცა, მათი თქმით, მასწავლებლებისგან ხშირად დაუგეგმავად იღებენ საკონსულტაციო კომუნიკაციას.

უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ყოველ სემესტრში აგროვებს მონაცემებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საათობრივი დატვირთვის შესახებ. აღნიშნული მონაცემების გაანალიზების შემდეგ ექსპერტებისათვის ცხადი გახდა, რომ პროგრამაში მონაწილე მასწავლებელს საკმარისი დრო აქვთ დაკისრებული მოვალეობების ხარისხიანად შესასრულებლად.

პროგრამის ძლიერ მხარეს წარმოადგენს აფილირებული პერსონალის რაოდენობა. ჩართული 33 ლექტორიდან მხოლოდ ექვსია მოწვეული, ხოლო 27 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან აფილირებულია (13 სრული პროფესორი, 12 ასოცირებული პროფესორი და ორი ასისტენტ-პროფესორი).

საგანმანათლებლო პროგრამას მართავს დარგის კვალიფიციური პროფესორი. იგი უშუალოდ არის ჩართული არა მხოლოდ პროგრამის შემუშავებისა და აკრედიტაციის პროცესში, არამედ განხორციელებაშიც. მისი სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობა არის სწავლების სფეროში და აკმაყოფილებს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებს. პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია სრულ შესაბამისობაშია დებულებასთან - კერძოდ, დადგენილებასთან „საგანმანათლებლო პროგრამა ხელმძღვანელის სტატუსის შესახებ“, რომელიც აკადემიურმა საბჭომ დაამტკიცა 2021 წლის 8 ნოემბერს (#01-05-04/163).

პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და ფაკულტეტზე მომუშავე ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა საკმარისია პროგრამის სტუდენტებისათვის ხარისხიანი მომსახურების უზრუნველსაყოფად.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	**პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის დარგობრივი ექსპერტიზის მქონე პერსონალს**	**მათ შორის დარგის მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი [6]**	**მათ შორის, აფილირებული პერსონალი**
აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა	**30**			
- პროფესორი	14	3	1	13
- ასოცირებული პროფესორი	14	8	3	12
- ასისტენტ–პროფესორი	2	2	2	2
- ასისტენტი	-	-	-	-
მოწვეული პერსონალი	6	6	3	_
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-	_

[6] შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი, რომელიც ახორციელებს ძირითადი სასწავლო დარგის კომპონენტებს

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პერსონალის პირადი საქმეები;
- ინფორმაცია პუბლიკაციებზე, შემოქმედებით/საშემსრულებლო პროექტებზე;
- აკადემიური საბჭოს 2021 წლის 8 ნოემბერის (#01-05-04/163) დადგენილება „საგანმანათლებლო პროგრამა ხელმძღვანელის სტატუსის შესახებ“;
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- **არ არის მითითებული**

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
4.1. ადამიანური რესურსები	☒	☐	☐	☐

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

არ ეხება

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელთა კვალიფიკაცია	☐	☐	☐	☐

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უსდ-ის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, „ხარისხიანი საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განვითარება“ და „ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის პრიორიტეტულ მიმართულებად არის განსაზღვრული, რომლის წარმატებით განხორციელება ძირითადად განპირობებულია. უნივერსიტეტში მომუშავე აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების, აგრეთვე „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკისა და სტრატეგიის“ საფუძველზე, რომელიც ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე წვლილი შესატანად სამეცნიერო პროცესის ეფექტურად წარმართვაში“.

თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი მტკიცებულება მოიცავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადებულ ანალიტიკურ დოკუმენტებს, რომლებიც ადასტურებს, რომ უნივერსიტეტი ყოველწლიურად აანალიზებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას. როგორც თვითშეფასების ანგარიში ასკვნის: *„სტუ-ს პედაგოგიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი, უფროსი ლექტორი, ლექტორი) სტუ-სთვის მნიშვნელოვან საგანმანათლებლო, სამეცნიერო და სხვა საქმიანობაში მიღწეული შედეგების შეფასება ხორციელდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:*

• აკადემიური საქმიანობა;

• საქმიანობა სამეცნიერო მიმართულებით;

• სტუ-სთვის მნიშვნელოვანი სხვა აქტივობები.

სტუ-ში და ფაკულტეტებზე მოქმედებს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ლიტერატურის სარედაქციო და საგამომცემლო საბჭოები. ამ საბჭოებზე წარსადგენი სასწავლო მასალა გადაეცემა ფაკულტეტების ხარისხის

უზრუნველყოფის სამსახურს ანგარიშის მოსამზადებლად. შესაბამისად, კეთდება დასკვნა მასწავლებელთა მიერ მომზადებული სასწავლო მასალის მომზადებისა და საგანმანათლებლო პროგრამებთან შესაბამისობის შესახებ, რაც ეცნობება ავტორს და ამავდროულად ემსახურება მასწავლებელთა შემდგომი განვითარების შეფასებას".

სააკრედიტაციო პაკეტში შედის პროგრამის ხელმძღვანელის მიერ მომზადებული დოკუმენტი სახელწოდებით „საბაკალავრო პროგრამა ჟურნალისტიკაში – აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარებისათვის განხორციელებული ღონისძიებები". ეს დოკუმენტი შეიცავს ინფორმაციას თითოეული პერსონალის მიერ განხორციელებული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ (სამეცნიერო კონფერენციებში, ვორქშოფებსა და ტრენინგებში მონაწილეობა). დოკუმენტის გულდასმით შესწავლის შემდეგ ექსპერტებისთვის ცხადი გახდა, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი აწყობს სამეცნიერო შეხვედრებს, აქტივობებს და ვორქშოპებს. თუმცა, ეს დოკუმენტი მოიცავს კონფერენციებს, სამუშაო შეხვედრებს და ტრენინგებს, რომლებსაც ატარებენ სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები და საერთაშორისო და ადგილობრივი კვლევითი ორგანიზაციები. უკეთესი იქნებოდა, თუ პროგრამის ხელმძღვანელი აღწერდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს.

ექსპერტების აზრით, მიუხედავად იმისა, რომ სტუ-მ შეიმუშავა პერსონალის განვითარების პოლიტიკა, აკადემიურ პერსონალს სჭირდება მეტი მხარდაჭერა კვლევების ინტერნაციონალიზაციაში, მათ შორის საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებთან მუშაობის დაწყებაში. ინტერვიუებისას აფილირებულმა აკადემიურმა პერსონალმა დაადასტურა, რომ ფაკულტეტის ადმინისტრაცია ბიუჯეტში ყოველწლიურად ითვალისწინებს სამეცნიერო საქმიანობას. იგი უზრუნველყოფს როგორც სახელმძღვანელოების, ისე სამეცნიერო კვლევითი პროექტების დაფინანსებას.

ექსპერტები კმაყოფილნი დარჩნენ, რომ აღნიშნული პროგრამის პერსონალმა ბოლო წლებში გამოსცა რამდენიმე ქართულენოვანი სახელმძღვანელო კომუნიკაციების სფეროში. თუმცა, ამავდროულად, აუცილებელია საერთაშორისო სამეცნიერო და სხვა პროექტების ინიცირება და ამ მიზნით აკადემიური პერსონალისათვის ტრენინგებისა და ვორქშოფების ორგანიზება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პერსონალის შეფასების შედეგები (პერსონალის კმაყოფილების გამოკითხვების ჩათვლით);
- „ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამა - აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარებისათვის განხორციელებული ღონისძიებები" (მომზადებულია საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ)
- უსდ-ის ღონისძიებები აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის.
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა გაზარდოს მხარდაჭერის ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს აკადემიური პერსონალის ინტერნაციონალიზაციას.

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	☒	☐	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უსდ-ს გააჩნია პროგრამის წარმატებით განხორციელებისთვის საჭირო ყველა მატერიალური რესურსი. საკლასო ოთახების, კომპიუტერული საკლასო ოთახების, ბიბლიოთეკის, სასწავლო სივრცეების რაოდენობა ადეკვატურია პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სატელევიზიო სტუდია სტუდენტებისთვის სატელევიზიო ჟურნალისტიკის პრაქტიკისათვის, საინფორმაციო გადაცემების მოსამზადებლად, საინფორმაციო ბიტების რედაქტირებისათვის და ა.შ. სტუდია ფლობს კამერებს, მიკროფონებს, მონტაჟის პროგრამულ უზრუნველყოფას და საკმარისი რაოდენობის კომპიუტერებს სტუდენტების საჭიროების დასაკმაყოფილებლად. უნივერსიტეტში ამჟამად არ ფუნქციონირებს არცერთ სტუდენტური მედია. თუმცა, უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ ისაუბრა სამომავლო გეგმაზე - ოდესღაც პოპულარული სტუდენტური ინტერნეტ-ტელეარხის ხელახლა გახსნის შესახებ. ამ საკითხთან დაკავშირებული რჩევისათვის გთხოვთ, იხილოთ ქვე-სტანდარტი 2.2.

ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფს შესაძლებლობა ჰქონდა გადაემოწმებინა ბიბლიოთეკაში არსებული ძირითადი ლიტერატურის ხელმისაწვდომობა და გაარკვია, რომ პროგრამისათვის საჭირო სახელმძღვანელოები ბიბლიოთეკაში ადვილად მოიძებნება, ზოგიერთ შემთხვევაში როგორც ელექტრონული, ასევე ფიზიკური ფორმით.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ერთ-ერთი უდიდესია ქვეყანაში და აქვს რამდენიმე მილიონი ეგზემპლარი წიგნის ფონდი, მათ შორის იშვიათი გამოცემები, რომლებიც მხოლოდ აქ შეგიძლიათ ნახოთ. ბიბლიოთეკა, გარდა სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურის მდიდარი კოლექციისა, უზრუნველყოფს წვდომას საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებზე, როგორიცაა: Science Direct და Scopus, Cambridge University Press, Royal Society Publishing - journals, BioOne, IMF Electronic Library, SAGE Journals, Edward Elgar Publishing, Duke University Press, Massachusetts Medical Society, Polpred.com Mass Media Review. სტუდენტებს აქვთ წვდომა ბიბლიოთეკის ოთხ დარბაზში: გაზეთების დარბაზში, კომპიუტერული დარბაზში, ტექნიკურ მეცნიერებათა დარბაზში და ჰუმანიტარულ დარბაზში. უსდ-ს ბიბლიოთეკა არის პროექტის „ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისთვის“ ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფს დამატებით საინფორმაციო რესურსებზე წვდომას: Cambridge Journals Online, BioOne Complete, e-Duke Journals Scholarly Collection, Edward Elgar Publishing Journals and Developments Studies e-books, IMechE Journals, New England Journals of Medicine, Royal Society Journals Collection, SAGE Premier.

სტუდენტები კარგად არიან ინფორმირებულნი უნივერსიტეტში არსებული რესურსების, აგრეთვე არსებული რესურსების სასწავლო მიზნებისათვის გამოყენების შესაძლებლობის შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის, ტელესტუდიის, კომპიუტერული კლასების და სხვა ობიექტების მონახულება
- შეხვედრა სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან
- შეხვედრები აკადემიურ და პედაგოგიურ პერსონალთან
- შეხვედრა უსდ-ს ადმინისტრაციასთან

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4. მატერიალური რესურსები	☒	☐	☐	☐

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტისა და საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ბიუჯეტები მოიცავს ფინანსურ კომპონენტებს, რომლებიც უზრუნველყოფენ საგანმანათლებლო პროგრამების ფინანსურ სტაბილურობას. უნივერსიტეტის ბიუჯეტი ბოლო სამი წლის განმავლობაში სტაბილური და დაბალანსებულია. პროგრამას აქვს ასევე ცალკე ბიუჯეტი, რომელიც შედგება აკადემიური პერსონალისა და მოწვეული პედაგოგიური პერსონალის ანაზღაურებისგან, ასევე 1 სტუდენტზე გათვლილი საექსპლუატაციო ხარჯებისაგან (ანუ გათბობა, მოვლა-პატრონობა, ტექნიკური უზრუნველყოფა). პროგრამის სხვა საჭიროებები ფინანსდება უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან.

აკადემიურ და მოწვეულ პედაგოგებთან შეხვედრისას ექსპერტთა ჯგუფს ეცნობა, რომ უნივერსიტეტი ყოველთვის მზადაა შეიძინოს ახალი წიგნები, დაფაროს პერსონალის მობილობის ხარჯები და უზრუნველყოს ნებისმიერი დამატებითი დაფინანსება, რომელიც საჭიროა პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამის ბიუჯეტი
- უნივერსიტეტის ბიუჯეტი

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლ	☒	☐	☐	☐

ის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

შესაბამისობა პროგრამის სტანდარტთან

4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტუ-ში ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესებს ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის ცენტრალური სამსახური, რომელსაც ჰყავს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერებიც. ხარისხის უზრუნველყოფის შესაბამისი მექანიზმები განისაზღვრება სტუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული შიდა რეგულირებით, ხოლო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციები და ვალდებულებები გათვალისწინებულია სტუ-ს სენატის მიერ დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებაში.

ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები იმართება PDCA ციკლის საფუძველზე. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს შეფასებას, მონიტორინგს და შესაბამის მონაცემთა შეგროვებას სწავლება-სწავლისა და კვლევის პროცესში შემდგომი ანალიზისა და განვითარებისთვის. შესაბამისი მონაცემები გროვდება სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, ადმინისტრაციის, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვებიდან.

როგორც აკრედიტაციის ინტერვიუს შედეგებმა აჩვენა, რომ სტუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალი თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან. ისინი მუდმივად ატარებენ შეხვედრას მათთან, სადაც განიხილავენ პროგრამის კურიკულუმებს და სტუდენტების, კურსდამთავრებულების ან დამსაქმებლების შეფასებებს. ზემოაღნიშნული შეფასებების შედეგების საფუძველზე პროგრამის პერსონალი საჭიროების შემთხვევაში ცვლის სილაბუსს ან სწავლა-სწავლების პროცესს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად ახორციელებს სტუდენტების აკადემიურ მონიტორინგს, ანალიზს და ადარებს შესაბამის მიზნობრივ ნიშნულებს, ასევე იკვლევს მათ კმაყოფილებას სხვადასხვა მიმართულებით. სტუდენტების გამოკითხვა მიმდინარეობს სპეციალური შიდა პლატფორმის საშუალებით, რომელიც ჯერ კიდევ შემუშავების პროცესშია. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გეგმავს პლატფორმის მოდულის შემუშავებას პერსონალისათვის, შესაბამისი ადმინისტრაციული საქმიანობის საწარმოებლად და მათგან მონაცემების ელექტრონულად შეგროვების მიზნით.

გამოკითხვისა და შეფასების შედეგები, ფაკულტეტის ადმინისტრაციის ან პროგრამის პერსონალის საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით, წარედგინება სტუ-ს სხვა შესაბამის თანამდებობის პირებს შემდგომი აქტივობებისათვის

ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასებაზე მუშაობისას პროგრამის კოორდინატორმა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერმა განიხილეს ზემოაღნიშნული გამოკითხვები. შედარებისთვის მათ შეისწავლეს ევროპული უნივერსიტეტების მსგავსი პროგრამები. განიხილეს სამი უნივერსიტეტის პროგრამა: მადრიდის კარლოს III-ის სახელობის უნივერსიტეტი, ესპანეთი, პრაღის ანგლო-ამერიკული უნივერსიტეტი და რიგის ტურიბას უნივერსიტეტი. როგორც პროგრამის კოორდინატორმა განმარტა, იყო რამდენიმე არგუმენტი, რის გამოც აირჩიეს ეს სამი უსდ: მადრიდის უნივერსიტეტის გამოცდილება საინტერესო იყო, რადგან ჟურნალისტიკის განვითარებამ თითქმის ისევე გზა გაიარა ესპანეთში, როგორც საქართველოში საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. ჟურნალისტიკა ქვეყანაში ვითარდება პოლიტიკური აქტივობების პარალელურად, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მის ხარისხზე. იგივე ისტორია ჰქონდა ესპანეთს. ჩეხეთსა და ლატვიას საბჭოთა კავშირთან თითქმის იგივე წარსული ჰქონდათ, რაც საქართველოს. ამგვარად, მათი გამოცდილებაც გამოსადეგი იყო.

ამ უსდ-ების პროგრამების შესწავლისას, პროგრამის კოორდინატორმა განიხილა და შეადარა მათი კურიკულუმები სტუ-ს საბაკალავრო პროგრამისას. შესაბამისი ანალიტიკური დოკუმენტი წარმოდგენილია უნივერსიტეტის მიერ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი არ იძლევა ონლაინ სწავლის მეთოდების გამოყენების ნებართვას და ლექციები არ ტარდება დისტანციურად. როგორც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა განმარტა, ეს გადაწყვეტილება მიღებულია პანდემიის შემდეგ სტუდენტების გამოკითხვის საფუძველზე.

აკრედიტაციის ინტერვიუების შედეგებისა და წარმოდგენილი ინფორმაციის გენერირებით შეიძლება ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ბევრად უფრო მჭიდროდ თანამშრომლობს პროგრამის კოორდინატორთან და პერსონალთან, ვიდრე ეს დასტურდება მტკიცებულებებით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუდმივად ცდილობს დაეხმაროს პროგრამის პერსონალს და კოორდინატორს შესაბამისი სერვისებით, ტრენინგებით, ინფორმაციითა და მონაცემებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების დოკუმენტი;
- სტუ-ს შიდა რეგულირება ხარისხის ოფისის, ხარისხის მექანიზმებისა და პროგრამების დაგეგმვის, შექმნისა და განვითარების შესახებ;
- შესაბამისი გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
5.1 შიდა ხარისხის შეფასება	☒	☐	☐	☐

5.2 გარე ხარისხის შეფასება

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ხარისხის გარე შეფასება მიმდინარეობს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რომლის მიხედვითაც აკრედიტაცია სავალდებულოა ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამისათვის

(განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 15.09.2011 წლის N65 ბრძანება). ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 18.01.2022 წელს. ექსპერტების მიერ წარდგენილი იყო შესაბამისი რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც გაიზიარა აკრედიტაციის საბჭომ. უნივერსიტეტმა შეასრულა მათი უმეტესობა.

საბაკალავრო პროგრამა აგრეთვე გარე პროფესიონალების მიერ შეფასდა. გარე ექსპერტების შეფასება არ წარმოადგენს აკრედიტაციის სტანდარტების სავალდებულო მოთხოვნას. შედეგად, სტუ-ს არ აქვს მისი წარმოდგენის ვალდებულება. მაგრამ რადგან შეფასდება განხორციელდა, გონივრული იქნებოდა ეს შეფასებები არ ყოფილიყო მხოლოდ ფორმალობა, არამედ გამოყენებულ ყოფილიყო პროგრამის გასაუმჯობესებლად. სტუ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები ძალიან ზოგადია და მოკლებულია პროგრამის კრიტიკულ ანალიზზე ორიენტირებულ შინაარსს. არსებობს ცხრილები რამდენიმე კითხვით, მათგან მხოლოდ ორია ავტორების მიერ მონიშნული. ერთ-ერთ მათგანს საერთოდ არცერთი პასუხი არ აქვს მონიშნული. მეორე მხრივ, ბუნდოვანია, როგორ შეაფასა ესპანელმა ექსპერტმა უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა პროგრამის მიზნებსა და შედეგებთან მიმართებაში. ძალიან სასარგებლო იქნებოდა რომ ამ დოკუმენტებში აღწერილი და გაანალიზებულიყო კერძოდ რა სახის რეკომენდაციები და რჩევები გაიცა გარე პროფესიონალების მიერ. ამგვარად, აუცილებელია გარე შეფასების მეთოდოლოგიის შეცვლა და უნივერსიტეტის მიერ განხორციელების შემთხვევაში არა მხოლოდ ფორმალურად ჩატარება, არამედ სათანადო გამოხმაურების მიღება. მაგალითად, არა მთელი პროგრამა წარდგენა ყველა ექსპერტისათვის, არამედ მათი ზოგიერთი კომპონენტისა რეალური შეფასებისათვის, კურიკულუმთან და შინაარსთან დაკავშირებული კითხვების მითითებით იმგვარად, როგორც ექსპერტებმაუნდა უპასუხონ მათ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია გარე შეფასების მეთოდოლოგიის შეცვლა და უნივერსიტეტის მიერ განხორციელების შემთხვევაში არა მხოლოდ ფორმალური, არამედ შესაბამისი უკუკავშირის მიღება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**

5.2. ხარისხის შეფასება	**გარე**	☐	☒	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტუ-ში მოქმედებს წესები, რომლის მიხედვითაც პერიოდულად ხდება უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება სხვადასხვა დაინტერესებული მხარის მიერ. ეს დაინტერესებული მხარეები არიან სტუდენტები, კურსდამთავრებულები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, დამსაქმებლები. სტუდენტები აფასებენ პროგრამის პერსონალს ყოველი სემესტრის ბოლოს. ისინი ასევე აფასებენ ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას. ასევე ტარდება სტუდენტების კმაყოფილების გამოკითხვა. შესაბამისი გამოკითხვები თან ერთვის თვითშეფასების დოკუმენტს. სხვადასხვა საკითხებზე სტუდენტების გამოკითხვის თანახმად, პროგრამაში ფუნდამენტური ცვლილებების აუცილებლობა არ დამდგარა.

პროგრამას ასევე შეფასებულია კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების მიერ. უნივერსიტეტმა წარადგინა შესაბამისი გამოკითხვა. ინფორმაცია შრომის ბაზრის კვლევისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შესახებ ნაწილობრივ აღწერილია 1.3 სტანდარტში. ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებისთვის უნდა აღინიშნოს, რომ ორივე ფოკუს-ჯგუფი თანამშრომლობს უნივერსიტეტთან და ისინი ჩართულნი არიან პროგრამის განვიტარებაში, მაგრამ დროის დეფიციტისა და პროცესის ბიუროკრატიულობის გამო მათი ჩართულობა არ არის წარმოდგენილი იმ დონეზე, როგორც ეს გამოვლინდა აკრედიტაციის ინტერვიუზე. ჯგუფი შეთანხმდა იმაზე, რომ აუცილებელია შეიცვალოს მათი ჩართულობის მეთოდები და თანამშრომლობის პროცესი გახდეს მოქნილი. პროგრამა მათ წარედგინება შესაფასებლად წელიწადში ერთხელ და დამსაქმებლები თანამშრომლობენ უნივერსიტეტთან. ისინი იღებენ ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს სტაჟირებაზე და ამ პერიოდში მენტორობენ მათ. თუმცა, როგორც ჯგუფთან ინტერვიუებში აღნიშნეს, მათი ჩართულობა პროგრამის განვიტარების ყველა დეტალში შეუძლებელია. ამგვარად, გონივრული იქნებოდა პროგრამის კომპონენტების შეფასება დარგობრივი დამსაქმებლების მიერ, გამოხმაურების მიღება კომპონენტის სილაბუსთან და სწავლა-სწავლების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით მათი კომპეტენციის შესაბამისად. კითხვარების გაგზავნის ნაცვლად უნივერსიტეტი მათ უნდა შვდებოდეს და განიხილოს შესაბამისი საკითხები, რომლებიც შესაძლოა ჩაიწეროს უნივერსიტეტის წარმომადგენლების მიერ შემდგომი

ადმინისტრაციული პროცედურებისათვის მტკიცებლების შესაქმნელად. დამსაქმებლების განმარტებით, ასეთი შეხვედრა უფრო ეფექტური და პროდუქტიული იქნებოდა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების დოკუმენტი
- ფოკუს ჯგუფების გამოკითხვები
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია შეიცვალოს კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების ჩართულობის მეთოდები პროგრამის განვითარებაში და თანამშრომლობის პროცესი გახდეს მოქნილი, ბიუროკრატიული, ქაღალდზე დაფუძნებული სამუშაოს გარეშე, შესაბამისი ეფექტური უკუკავშირის მისაღებად, რაც სასარგებლო იქნება კურიკულუმების მოდიფიკაციისა და განვითარებისათვის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	☐	☒	☐	☐

შესაბამისობა პროგრამის სტანდარტებთან

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, საფეხური: ჟურნალისტიკა, ბაკალავრიატი

შესაბამისობა პროგრამის სტანდარტებთან

შეფასება / სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	☒	☐	☐	☐
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლების შეფასების ადეკვატურობა	☒	☐	☐	☐
3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☒	☐	☐	☐
4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა	☒	☐	☐	☐
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი	☐	☒	☐	☐

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

პროფესორი რიჩარდ ჰეინსი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები

მაგდა მემანიშვილი

ნატალია თვალჭრელიძე

სოფიო უგრეხელიძე, ხელმოწერა დაემატება

ია ბუცხრიკიძე, ხელმოწერა დაემატება